# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელად: მან. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — 6 |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

## პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისს „სასოფლო გაზეთის" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ტო. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ", при типографіи Меликова и К-о.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 13. სამშაბათი. I. 28 მაისს 1868 წ.

**შინაარსი:** ოფიციალური ნაწილი: ტფილისი 28 მაისს.—არა ოფიციალური ნაწილი.—ორიოდე სიტყვა სოფლის ახალ მოხელეების ამორჩევაზე.—სოფლელ მკითხველთათვის დასასწავლი რაღაც-რაღაცაები.—რანაირად შეიტყობა ნიადაგის სიკეთე და რა ნაირია მიწა.—სასოფლო ექიმობა.—იხვის აკრუხება და იმის კვერცხებზე დასმა.—არითმეტიკა.

## ოფიციალური ნაწილი.

*Тифлисъ, 28-го мая.*

Въ 1864 году въ нашемъ краѣ занялась заря новой жизни. Въ этомъ году правительство возвѣстило намъ боговдохновенную мысль Государя Императора объ уничтоженіи крѣпостной зависимости. Самъ народъ сознаĺъ несостоятельность стараго порядка и съ радостію привѣтствовалъ слова Государя, призывающаго его къ новой болѣе плодотворной жизни. Установленіемъ новыхъ лучшихъ отношеній крестьянъ къ помѣщикамъ Царь пробудилъ спавшія силы народа, чтобы посредствомъ свободнаго труда и болѣе разумныхъ отношеній вести его къ умственно - нравственному развитію и матеріальному благосостоянію.

Съ уничтоженіемъ крѣпостной зависимости, при новыхъ условіяхъ народной жизни, старый порядокъ управленія сельскимъ населеніемъ не могъ удержаться на прежнихъ началахъ и долженъ былъ измѣниться къ лучшему.

Интересы свободно-трудящагося народа требовали, чтобы ему самому было предоставлено право заботиться о своихъ дѣлахъ. Правительство, будучи увѣрено въ его благоразуміи, даровало ему само-управленіе, въ силу котораго сельское населеніе должно было выбирать изъ среды себя добросовѣстныхъ людей на должности сельскихъ старшинъ и судей. Такимъ образомъ народу дарованы были новыя права и вмѣстѣ съ тѣмъ возложены на него новыя обязанности.

Введеніемъ сельскаго самоуправленія правительство вызвало народъ къ самодѣятельности. Справедливость требуетъ сказать, что Тифлисское Губернское Начальство и Губернское по крестьянскимъ дѣламъ Присутствіе выказали большую энергію въ дѣлѣ возбужденія народной инціативы. Они поступили такъ, какъ подобаетъ попечительному правительству, принимающему близко къ сердцу интересы народа и служащему его дѣлу. Гг. члены Тифлисскаго Губернскаго по крестьянскимъ дѣламъ Присутствія, уѣздные начальники, равно и мировые посредники ревностно подвизались на пользу общаго дѣла. Они объясняли народу сущность дарованныхъ ему правъ и обязанностей.—Народъ радуется. Великія реформы нравственно возвышаютъ его. Осетинскія деревни, расположенныя на Большой и Малой Ліахвѣ, въ лицѣ своихъ старшинъ въ оградѣ церкви св. Ѳеодора Тиронскаго торжественно даютъ обѣтъ никогда не грабить, не воровать и отказаться отъ другихъ старыхъ обычаевъ (урвадъ и поминки), вредящихъ общему благосостоянію.—Столь явно обнаружившееся стремленіе къ нравственному самоисправленію представляетъ отрадное явленіе въ средѣ того горскаго населенія, которое до сихъ поръ въ жизни своей не знало ничего, кромѣ насилія и грабежа. Но все это было естественнымъ результатомъ великихъ преобразованій, совершенныхъ Правительствомъ въ нашемъ краѣ.

Народъ живо сознаетъ, что для самоуправленія одного природнаго смысла не достаточно, ему нужно знаніе, и онъ изъявляетъ желаніе учиться. По внушенію Гг. членовъ губернскаго по крестьянскимъ дѣламъ Присутствія, мировыхъ посредниковъ и мѣстнаго полицейскаго начальства онъ открываетъ сельскія школы въ Тифлисскомъ, Горійскомъ, Телавскомъ и Сигнахскомъ уѣздахъ; въ нѣкоторыхъ мѣстахъ появляются хлѣбные магазины, поговариваютъ даже объ устройствѣ сельскихъ банковъ. Дворянство и духовенство съ своей стороны принимаютъ живое участіе въ дѣлѣ народнаго образованія. Г. Тифлисскій губернскій предводитель дворянства „изъявляетъ желаніе дать Квишхетскому сельскому обществу: 1) землю подъ постройку дома для школы, 2) право на вывозъ изъ его лѣсной дачи всего лѣснаго матеріала, какой понадобится на эту постройку, 3) сто руб. на обзаведеніе школы мебелью и учебными пособіями и 4) право безпошлиннаго вывоза изъ его лѣса такого количества дровъ, какое потребуется на отопленіе дома въ теченіе года."

ეროვნული ბიბლიოთეკა

Въ разныхъ мѣстахъ губерніи многіе изъ дворянъ безвозмездно отводятъ мѣста подъ постройку помѣщеній для сельскихъ школъ, другіе уступаютъ дома для той же цѣли, третьи берутъ на себя обученіе крестьянскихъ дѣтей.

И такъ, благодаря энергическимъ дѣйствіямъ Правительства и содѣйствію дворянства, съ успѣхомъ введено сельское само-управленіе по Тифлисской губерніи и положено начало народному образованію. Народъ благоговѣетъ предъ милостями Царя — Освободителя. Успѣхи сельскаго само-управленія вскорѣ доказали, что народъ вполнѣ освоился съ новымъ положеніемъ, созданнымъ для него благодѣтельною реформою. Вотъ, что говоритъ членъ Тифлисскаго Губернскаго по крестьянскимъ дѣламъ Присутствія кн. Рамазъ Андрониковъ въ своемъ отчетѣ о сельскихъ учрежденіяхъ по Сигнахскому уѣзду отъ 31-го янва[illegible] 1867-го года: „Почти всѣ рѣшенія судовъ отличаются здравымъ смысломъ и примѣненіемъ къ правдѣ; — это наиболѣе замѣчается между временно обязанными крестьянами, стоявшими прежде въ близкомъ обращеніи съ дворянскимъ сословіемъ; исключенія если были въ нѣкоторыхъ деревняхъ явнымъ нарушеніемъ правосудія и общаго порядка должностными, не оправдавшими выбора своихъ обществъ, предупреждены тотчасъ мѣстнымъ Начальствомъ устраненіемъ подобныхъ лицъ.“

Что въ нѣкоторыхъ мѣстахъ, вслѣдствіе неудачныхъ выборовъ, дѣло самоуправленія могло идти не совсѣмъ удовлетворительно, — это очень естественно, потому что это былъ первый опытъ. Но вотъ уже три года прошло съ тѣхъ поръ, какъ введено сельское самоуправленіе. Трехлѣтній опытъ предъ глазами нашего сельскаго населенія. Настало время новыхъ выборовъ. Тутъ-то и нужно нашему сельскому населенію употребить въ дѣло весь свой здравый смыслъ и пріобрѣтенный опытъ, чтобы выбрать достойныхъ должностныхъ лицъ. Мы вполнѣ надѣемся, что при предстоящихъ выборахъ сельское населеніе обратитъ все свое вниманіе на то, чтобы избираемое лицо отличалось между поселянами умомъ, правдивостію и преданностію общему дѣлу. Только при такихъ условіяхъ можно ждать, что чувство законности и справедливости будетъ болѣе и болѣе укореняться въ народѣ и общее благосостояніе будетъ постепенно возрастать.

И такъ, пусть здравый смыслъ и опытъ, а не страсти руководятъ населеніемъ при новыхъ выборахъ.—

---

## ტფილისი, 28 მაისს.

1864 წელიწადს ჩვენს ცხოვრებას დაადგა ნათელი. ამ წელიწადს ღვთისაგან ჩაგონებული აზრი ხელმწიფე იმპერატორისა ბატონ-ყმობის გაუქმებაზე გამოგვიცხადა ჩვენმა მთავრობამ. ხალხმაც იგრძნო ძველი წესის გამოუდეგრობა და დიდი სიხარულით უხმობდა ხელმწიფის სიტყვებსა, რომელიც მოუწოდებდა იმას ახალი ცხოვრებისათვის. უფრო კარგი ახალი წესის დამკვიდრებით იმან აღძრა ჩვენს ქვეყანაში მიძინებული ძალა ხალხისა, რომ თავისუფალი შრომით და ერთმანერთში კანონიერის დამოკიდებულებით მიეცეს იმას სიმდიდრე, განათლება და კეთილ-მდგომარეობა.

რაკი ბატონ-ყმობა გადავარდა, ძველებური წესით სასოფლო გამგეობაც უნდა შეცვლილიყო. თავისუფლად მშრომელს ხალხს საკუთარი საქმის გასარჩევათ და გადასაწყვეტათ, თავისივე მმართველობა უნდა ჰქონოდა. მთავრობა დარწმუნდა ხალხის გონიერებაზე და მიანიჭა სასოფლო სასამართლო წესი. ამ წესით ხალხს უნდა ამოერჩია კეთილსინიდისიანი კაცები სოფლის მოსამართლეებათ და მამასახლისებათ. ამ სახით ხალხს მიეცა ახალი სიმართლე და ახალი მოვალეობა.

ბატონ-ყმობის გადაგდების მერმეთ სასოფლო სასამართლოების დაწესება ნიშნავდა მთავრობისგან ხალხის მოწოდებას თვით-მოქმედებისათვის. მართლაც, რომ ტფილისის გუბერნიის საგლეხო სასამართლომ და გუბერნიის მთავრობამ დიდი მხნეობა გამოიჩინა. ისინი სწორეთ ისე მოიქცნენ; როგორც ხალხის გულშემატკივარს მთავრობას შეეფერება. უეზდის ნაჩალნიკები და საგლეხო სასამართლოს წევრები და მიროვის პოსრედნიკები ერთმანეთს აჯარბებდნენ ქველმოქმედებაში ხალხის საკეთილდღეოთ. ისინი უხსნიდნენ ხალს ხელმწიფისაგან მონიჭებულს სიმართლეს და შეაგონებდნენ, თუ რა მოვალეობას სდებდა ხალხს ეს ახალი ხელმწიფის წყალობა.

ხალხი ეძლევა უსაზღვრო მხიარულებას. დიდი ცვლილება ზნეობით . აკეთებს იმას: დიდსა და პატარა ლიახვზე მცხოვრების ოსების მამასახლისები და მოსამართლეები იკრიბებიან თეოდორე ტირონელის საყდარზე და აძლევენ აღთქმას, რომ აღარც ვიავაზაკოთ, აღარც ვიქურდოთ და ყველა მავნებელნი ძველნი ჩვეულებანიც გადავაგდოთო. ეს დიდი ამბავია იმ მთიულ ხალხის ცხოვრებაში, რომელსაც თავისი დღენი ავაზაკობაში და ქურდობაში გაუტარებია. ხალხი გრძნობს რომ მარტო გონიერება არ კმარა თვით-გამგეობისთვის; ის აცხადებს სწავლის სურვილს. ტფილისის, გორის, თელავის და სიგნახის უეზდებში ადგილობრივის მთავრობის დაგუბერნიის სასამართლოს წევრების წაქეზებით ხალხი ხსნის სასოფლო შკოლებსა; ზოგგან პურის მაღაზიებიც იმართება; აქ-იქ სასოფლო ბანკზედაც კი აქვთ ლაპარაკი.

როგორც დაწინაურებულმა ნაწილმა ჩვენის ხალხისამ თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ დიდი გულ-მხურვალება აღმოაჩინა სახალხო შკოლების გახსნაში. ის ამ შემთხვევაში შეიქმნა სრული თანამგრძნობელი ხალხის განათლებისა და, რითაც შეეძლო, იმით ეწეოდა მთავრობასა და ხალხსა. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღომელი დაჰპირდა სოფელს ქვიშხეთს შკოლის ასაშენებელს ალაგს, ნება მისცა სოფლელებს იმის ტყიდგან გამოეტანათ იმდენი ფიცარი, რამდენიც ერთ შკოლას მოუნდებოდა; აღუთქვა ასი მანეთის მიცემა შკოლის გასამართავათ მებლით, და საკითხავი წიგნებით. აგრეთვე უფასოთ მისცა ყოველ წლობით იმდენი შეშა, რამდენიც ერთს შკოლას მოუნდებოდა. ამისთანა ქველ-მოქმედებაში მთელი თავად-აზნაურობა თანმიჰყვა თავის წინამძღომელს და, რითაც შეიძლეს, იმითი შეეწივნენ ხალხის განათლებას: ზოგმა ადგილი დაუთმო, ზოგმა-სახლი, ზოგმა სწავლება ითავა. ერთი სიტყვით მთავრობა და იმის მიყოლით საზოგადოება აღიძრა ხალხის კეთილდღეობის დასამკვიდრებლათ; თვითონ ხალხმაც, რასაკვირველია, გაამართლა მთავრობის იმედი. ის დიდის ალტაცებით მიეგება იმის კეთილ-მზრუნველობას და როგორც გონიერი ხალხს შეჰფერის, ისე სცნო თავისი ახალი მოვალეობა: კანონიერათ მოიქცა. დასამტკიცებლათ გადმოვსწერთ თ. რამაზ ანდრონიკაშვილის სიტყვებს ტფილისის გუბერნატორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან წარდგენილის რაპორტიდგან სიღნაღის უეზდის სასამართლოების შესახებ: „თითქმის ყველა სასოფლო სასამართლოების გადაწყვეტილება გონიერი და მართალია. ამისთანა გადაწყვეტილებანი დროებითი ვალდებულ გლეხების სასამართლოებში უფრო ბევრი იპოვება“. ვთქვათ, რომ ზოგგან სოფლის მოხელეებათ ურიგო კაცები მოხვდებოდნენ და ამის გამო შესაძლებელია, რომ უსამართლოებაც ბევრი მოხდა; მაგრამ რადგან ეს პირველი საქმე იყო, უამისოთ არ იქნებოდა. აი, ახლა სამი წელიწადი გავიდა; სამი წლის გამოცდილება ჩვენს სოფლის ხალხს თვალწინ უდგას. ძველს მოხელეებს ვადა დაუსრულდათ, ახლების ამორჩევის დრო მოვიდა. აი, ამ ჟამად ჰმართებს სოფლის ხალხს გონიერება, რომ რიგიანი მოხელეების ამორჩევით მშვენიერს წესს დაამკვიდრებინოს ხალხში სამართლიანობა. მოხელე კაცების ამორჩევაში ხალხმა უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება იმას, რომ ახალი მოხელე იყოს ჭკუით ნაქები, მართალი და საზოგადო საქმისთვის თავ გადადებული.

## არა ოფიციალური ნაწილი.

### ორიოდე სიტყვა სოფლის ახალ მოხელეების ამორჩევაზე.

როგორც წინათ მოვილაპარაკეთ ოთხი თვისება საჭირო, რომ კაცი მოხელეთ ამოვარჩიოთ: ჩვენ გვინდა მოხელეთ ჭკვიანი, მართალი, გამჭრიახე და სოფლისთვის მზრუნველი, თავ გადადებული. ამას კიდევ უნდა დაუმატოთ, რომ დამჯდარი ჭკუის პატრონია საჭირო, აჩქარება არ იცოდეს, თორემ აჩქარებით რასმეში შესცდება და იქნება კანონის წინააღმდეგი რამე მოახდინოს. ერთი ამბავი შევიტყეთ: ერთ სოფელში, სახელს არ ვიტყვით იმ სოფლისას, ერთი პატიოსანი ყმაწვილი ოცდა ხუთის წლის გლეხი ამოარჩია სოფელმა მოხელეთა. ძალიან სოფლის მზრუნველი იყო, ჭკვიანი და პატიოსანი, უკეთესი აღარ ითქმის. ვაჭარ ვალის პატრონების ხელისაგან ბევრი გლეხი გამოიხსნა და კანონიერათ სამართალს უჭრიდა ხოლმე; ვალის პატრონები თურმე ვალს ატეხდნენ გლეხებსა და საქმე რომ გაშინჯეს, გამოჩნდა, რომ მოსავლით არამც თუ ვალი გადაეხადნათ, გლეხებსა მეტიც მიეცათ. ამისთანა საქმეები ბევრი გამოჩნდა სოფელში. ის კეთილის გულის მოხელე ისე გაშფოთდა და აჩქარდა, რომ უბრძანა ვაჭრებს გუთანი გამოეტანათ და რადგან სოფელში სდგეხართ, ხვნა-თესვაზე უნდა იყოთო.— ეს აჩქარება უკანონო საქმე იყო, რადგანაც ვისაც რა ხელობა უნდა, იმაზეა და კანონი ნებას არავის აძლევს, რომ ძალით ხელობა რამ დააჭერინოს. ამისა გამო ის მოხელე გადააყენეს, თუმცა სოფელს ძალიან ენანებოდა. ეს რასაკვირველია, იმ მოხელეს კეთილი გულით უნდოდა, მაგრამ აჩქარდა და კანონი დაარღვია. ამ შემთხვევაში იმიტომ კარგია, მოხელემ, კითხვა წერა იცოდეს, რომ უკანონო საქმე არ მოახდინოს. ამას აქ იმიტომ მოვიხსენებთ, რომ სოფელი, როდესაც მოხელეს ირჩევს, დამჯდარი გონების კაცი ამოირჩიოს, რომ არც სოფელს მოაკლდეს კარგი მოხელე და არც გაუფთხილებელ კარგ მოხელეს სახელი წაუხდეს. როგორცა ვთქვით კარგი იქნება, მოხელემ ქართული წერა-კითხვა იცოდეს, რომ წაიკითხოს და დაისწავლოს „სოფლის საზოგადოებათ წესდება.“ თუ ძალიან ძნელი არ არის სოფელს შეუძლია, სთხოვოს მოხელეებსა, რომ წერა კითხვა ისწავლონ. თუმცა ხანში შესულისათვის ძნელია წიგნის სწავლა, მაგრამ, ისე ძნელიც არ არის, როგორც ბევრსა ჰგონია. ჩვენ შევიტყვია, რომ ერთ სოფლის კაცს, მოხელეთ რომ ამოურჩევიათ, სიბერის დროს წერა-კითხვა დაუსწავლია და კარგათ უსწავლია კიდეცა. წიგნის ცოდნა უკანონო გაუფრთხილებელ საქმეს აცდენს მოხელესა. ამისთვის კიდეც საჭიროა კარგმა მოხელეებმა თითონვე შეიტყონ წიგნის ცოდნის საჭიროება.

ეს რაც მოვიხსენეთ, ჭკუა, სიმართლე გამჭრიახობა, სოფლისთვის ზრუნვა და კანონის ცოდნა მოხელეობისთვის აუცილებელი საჭიროებაა. კაცს თუ ეს თვისება აქვს, კარგ მოხელეთ გამოდგება. თუ ეს თვისება აქვს, გინდა ღარიბი იყოს, გინდა მდიდარი, გინდ მოხუცი, გინდ ყმაწვილი კაცი, სულ ერთია. ამას არ უნდა დავხედოთ, რომ ეს ძალიან ყმაწვილი კაციაო, და ეს ღარიბიაო, ოღონც ამ თვისებით იყოს შემკული. ნეტავი იმ ხალხს და იმ სოფელს, სადაც ამისთანა მოხელ ები იქნებიან და უფრო ნეტავი იმ ხალხს, სადაც ამისთანა მოხელეების ამორჩევა იციან.

ჩვენმა სოფლელებმა კი რატომ არ უნდა იცოდნენ კარგი მოხელეების გამორჩევა? რასაკვირველია ჯერ ერთი იმიტომა, რომ ახალი საქმეა და კარგათ არ არიან შეჩვეულნი ახალ კანონსა. მაგრამ ახლა კი გამოიცადნენ და თუ მოხდა რამე მოხელეების მხრით კიდევ გლეხობის სურვილის წინააღმდეგი, ამაში სოფელს ექნება ბრალი. მიზეზი ორია: დაუდევნელობა და უთანხმობა. თუ სოფლის გლეხობა დაუდევნელია, იძახის ვინც იქნება, ამოვარჩევთო და რიგიანათ არ დაიწყებს რჩევასა ვინა და ვინ გამოვირჩიოთო, ამისაგან იქნება აი რა ცუდი მოხდეს. ზამოქნილი და ხარბი კაცი წავა ერთთან ორთან, სამთან ოჯახებს თითო თითოთ მოივლის, მოელაქუცება, ზოგს სადილათ დაჰპატიჟებს, ზოგს რასმე დაჰპირდება, ზოგს კიდევ ვითომც მოყვრობას გაუწევს, სიტყვით მოიბირებს და ასე ამორჩევის დროს იმას ამოირჩევენ. ადრევე რომ გლეხ-კაცებს ერთმანერთში მოელაპარაკნათ კარგა ეფიქრათ და კაცები მოეძებნათ, ეს არ მოხდებოდა. ადრევე მოლაპარაკება ერთმანერთში იმიტომ საჭიროა, რომ ყველა თითო თითოთ მოსთვლიდა ვის უფრო კარგი მოხელეობა შეუძლია, იმათ ავსა და კარგს ერთმანერთს შეატყობინებდნენ და ყველას ამბავს რაკი კარგათ გამოიძიებდნენ, უფრო ზედ მიწევნით ღირებულ კაცს გამოარჩევდნენ მოხელეთა. ეს თუ ასე არ მოხდა, კარგი მოხელეების შოვნა ძნელია. უთანხმობაც ჩვენ სოფელში სწორეთ დაუდევრობისაგან არის. ერთმანერთთან რომ არ მოილაპარაკებენ, რჩევას ერთათ რომ არ დაიჭერენ, სოფლის ერთი ნაწილი იტყვის მახარა მინდა მოხელეთაო, მეორე ნაწილი იტყვის არა ხოსე მინდა, მახარა არაო; ამასობაში ბოლოს იქნება ვინმე გამოჩნდეს და თქვას: ნურც მახარა, ნურც ხოსო, როსტომი ამოვარჩიოთო. ვნახოთ, რომ როსტომი ამოარჩიეს, მაგრამ ღმერთმა იცის რა მოხელე გამოდგება. იქნება როსტომმა ოსტატობაც მოიხმარა, ეგება მე ამამარჩიონო, ჯიბეს გაეისქელებო.

დაუდევრობას და უთანხმობას ბევრი უბედურება მოუხდენია და მოხელეების ამორჩევის დროსაც ამაზე ფრთხილათ უნდა იყვნენ. აბა ერთი ვიფიქროთ ჩვენ რაღა შესაბრალისნი უნდა ვიყოთ, თუ კი ჩვენ ჩვენი სარგებლობა არ ვიცით და ჩვენ საქმეს არ დავდევთ, თითქო ამაზედაც სხვებმა უნდა იფიქრონო. იმდღესაცა ვთქვით და ეხლაც კიდევ ვიტყვით, რომ მანამ დროა, მანამ კაი მოხე-

ლეების ამორჩევის ფიქრს შეუდგეთ, თორემ მერე სავაგლახო გაგვიხდება და სამი წელიწადი კიდევ ვაი ვაის ვიძახებთ.

ეს აქ, რაც მოვიხსენიეთ სულ ბოლოს დღემდინ არ უნდა გადავდვათ, რა დღესაც სოფლის ყრილობა მოხდება. არა, რამდენიმე კვირის წინათვე უნდა კარგა ფიქრს შეუდგეთ, ერთმანერთში მოვილაპარაკოთ, რომ ბოლოს ყრილობისთვის მზათ ვიყოთ და უშფოთრათ და გულ დამშვიდებით ამოვირჩიოთ მოხელე კაცები.

ბოლოს ეს დაგვრჩა სათქმელათ, რომ რა რიგათ მოვახდინოთ ყრილობაში მოხელეების ამორჩევა. კანონი ნებას აძლევს, რომ სოფელში, რა ადათიც არის იმ ადათით ამოირჩიონ მოხელენი. ჩვენ ზოგიერთ სოფელში ისეთი ძველი მოხელეები ყოფილან, რომ მთელი სოფელი იმათგან დაშინებული ყოფილა და თუმცა არა სურვებიათ იმათი ამორჩევა, მორიდებით იმის ამორჩევას აპირებდენ თურმე. ამორჩევის დროს როგორღაც ერიდებათ და პირდაპირ უარი ვერ უთქვამთ გლეხებსა, ამ შემთხვევაში ერთგან კარგი უფროსი ყოფილა და იმას უბრძანებია, რომ დაფარულათ მოახდინეთ კენჭის ყრაო. კენჭის-ყრა ამ რიგათ მოხდება: ორი ცარიელი მომცრო ქილა ან ორი ქუდი ერთათ ახლოს დასდონ და ზედ რამ მოდიდო გადააფარონ. ერთ ქილას დაარქვან მინდა, მეორეს არ მინდა და რომელ კაცსაც გლეხები დაასახელებენ ამოსარჩევათ, იმისთვის ყველა გლეხმა, ვინც ყრილობაშია, კენჭი სახურავ ქვეშ დაფარულათ ჩააგდოს, თუ უნდა მინდის ქილაში, თუ არ უნდა არ მინდის ქილაში. ბოლოს რომ გაათავონ, ყველამ ასე კენჭის ყრა, მერე დასთვალონ მინდის კენჭებიცა და არ მინდის კენჭებიცა. თუ მინდის კენჭი მეტია, მოხელეთ ამოირჩევა; თუ არ მინდის კენჭი მეტია ის მოხელე არ ამოირჩევა და სხვა უნდა დაასახელონ. ასე და ამ გვარათ უნდა მოხდეს დაფარული ამორჩევა და ძალიანაც კარგს იზამენ, რომ ყველგან ამ რიგათ მოხდეს ამორჩევა. აღარც დაშინებულ კაცებს მოერიდებათ და ავ კაცების უსიამოვნობასაც გადარჩებიან.

ღმერთმან ინებოს, რომ მომავალი მოხელეების ამორჩევა კეთილათ და კანონიერათ აღსრულდეს სოფლის ხალხისაგან! ღმერთმა ინებოს რომ ჩვენმა გლეხებმა ისეთი მოხელეები იშოვნონ, როგორიც ეჭირებათ!

წინა გაზეთის ფურცელში შეცდომით მოხდა რომ ცოტა შეცვლით დაიბეჭდა ეს შემდეგი კანონის 61 მუხლის შენიშვნა დროებით ვალდებულ გლეხებისაგან ამორჩეული ნაცვლები დამტკიცდებიან უეზდის, ან ოკრულის ნაჩალნიკისაგან მიროვის პოსრედნიკის თანახმობითა.

ამას გარდა არ იყო მოხსენებული რომ (მუხლ. 33.)

სოფლის მოსამართლენი აირჩევიან სოფლის ყრილობით იმდენნი, რამდენსაც ყრილობა საჭიროთ დაინახავს. (შენიშვნა) სოფლის მოსამართლეებათ შეიძლება არჩეულ იყვნენ სოფლის სხვა მოხელეებთაგანიცა.

---

## სოფლელ მკითხველთათვის დასასწავლი რაღაც-რაღაცაები.

როდესაც სათესლეში კუკური განაყოფიერდება მშობიერ კვარკვალიტის მოხვედრით, შემდეგ თესლიც დამწიფდება. ახლა ეს უნდა შევიტყოთ, რას ვეძახით ჩვენ დამწიფებულს თესლსა? დამწიფებული თესლი ის არის, რომელშიაც შთანაჩენი, ნორჩი მცენარე, სრულებით დასრულებულია. მაგალითად, ავიღოთ ლობიოს მარცვალი. თეთრი ან წითელი. ამ მარცვალში გარეთ კანია და შიგნით გული. კანი ორ ნაწილათ იყოფება. გარეთი კანი მაგარია და სქელი; ამას ეტყვიან აბკა; ამ გარეთა კანს შიგნით თესლის გულსა აქვს შემორტყმული უფრო თხელი კანი. ამ თხელს კანსა ჰქვიან სახვევი. როცა ლობიოს მარცვალს აბკს შემოაცლი, ის თავისთავათ გაიყოფება ორ თანასწორ ნაწილათ. ეს ორი ნახევარი ერთმანეთზეა მიკრული და თუ დააკვირდი ბოლოზე წვრილი ღერი რგოლის ნატეხსავით აქვს შემოდებული. ეს პატარა ღერი შვილდსავით მოხრილია და ერთს თავში ორი პაწაწინა ფოთლები ასხია, რომელნიც მარცვლის ნახევრებშია ჩატანებული. როცა მარცვალს შუაზე გააპობ, ამ პაწაწინა ფოთლებს ადვილათ შენიშნავ. ამ სახით ლობიოს მარცვლის ორი ნახევარი და პაწაწინა ფოთლები პატარა ღერის თავზეა დამაგრებული და ეწოდება შთანაჩენის კუკური; ამ ღერის ბოლო პატარა ფესვათ არის გადაქცეული. ამ რიგათ ჩვენ რომ თესლს ვეტყვით, ის ბეჯითად არის პატარა მცენარე, რომელსაც აქვს ფესვი, ღერი ან ტანი და კუკური. ეს შემდეგ ფოთლებათ გაიშლება. ეს პატარა მცენარე, ანუ შთანაჩენი მანამდის დარჩება თესლად, ვიდრე იმის გარემოებაში არ ჩავარდება, საცა შესაძლებელი იყოს იმისი ზრდა და როცა ამისთან მდგომარეობაში ჩავარდება, მაშინ მიძინებული ცხოვრება შთანაჩენისა გამოიღვიძებს და გაიზრდება მცენარეთ. რა არის თესლის მზრდელი გარემოება? — მიწა, წყალი, ჰაერი და მზე. თესლს რომ მიწაში ჩაფლავენ, დალბება, გაიბერება და გაარღვევს აბკსა. ამ დროს ლობიოს მარცვლის ნახევრებში მზადდება შთანაჩენის საზრდო. ეს საზრდო გახლავთ მცენარის რძე. შთანაჩენის ფესვი ჯერ იმდენათ გაზრდილი არ არის, რომ შეეძლოს მიწიდგან საზრდოს ამოღება, ამისთვის თვითონვე შთანაჩენში უნდა იყოს შენახული პირველი საზრდო. მართლაც ასეა. ვიდრე ფესვი იმდენათ არ გაიზრდება, რომ შეეძლოს მიწიდგან წვენის წოვა, შთანაჩენი რჩება რძითა; შემდეგ როცა ეს საზრდო გამოელევა, ფესვი დაუწყებს რჩენას.

ამ სახით შთანაჩენი სინესტისა და სითბოს გამო გაიღვიძებს საცხოვრებლათ; იმის ფესვი მიწაში ჩადის; ღერი კი მიწიდგან ამოდის და თავზე პირველათ რამოდენსამე ფოთოლს გაიშლის. ამ ფოთლებს ჰქვია თესლის ყურები. ზოგი მცენარეა, რომ ამოსვლის ჟამს პირველად ორს ფოთოლს გაიშლის; ამისთანა მცენარეს ჰქვია ორყურა; ზოგია, რომ ამოსვლის ჟამს ერთ ფოთოლს გაიშლის. ამისთანა მცენარეს ჰქვია ერთ-ყურა (ცალ-ყურა). ზოგია შთანაჩენი ერბაშათ ოთხს და ხუთს ფოთოლს გამოიღებს. ამისთანა მცენარეს ეძახიან ბევრ-ყურას. ლობიო, ვაშლი, ატამი და სხვ. არის ორ-ყურა მცენარეები; სიმინდი, პური, ქერი, იონჯა და სხვ. არის ერთ ყურა მცენარეები. ნაძვი, ურთხელი, კვიპაროსი, სოჭი, ცაცხვი და სხვ. არიან ბევრყურა მცენარეები. ახალ ამოსულის შთანაჩენის ღერი რომ გადავჭრათ, აი რას ვნახავთ, შიგნით გულია, გულს გარეშემო ლორწო და ლორწოს გარეშემო ქერქი აქვს შემოკრული. ლორწო წვრილ-წვრილ მასრებისაგან არის შემდგარი. ამ მასრებში ადის წვენი და ყოველ წელს იმათგან მზადდება ხის ცილი და ხის ქერქი.

---

## რა ნაირად შეიტყობა ნიადაგის სიკეთე, ან რა და რა ნაირია მიწა.

(გაგრძელება)

ჯერ პირველად ნიადაგის ცნობა შეიძლება შეხედვით (თვალით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) თუ მოხვნის დროს გუთანს ან აჩეჩს რომ გაატარებენ, მოჭრილზედ მიწა გასიპებულია და ელვარებს, ამასთან მოხვნული მიწაც თავისთავად არ იფშვნება, ბელტ-ბელტად რჩება და ისე ხმება, და თუ კიდევ გავლის დროს მიწა ძალიანა სქდება ხოლმე, იმისთანა მიწა ან თიხიანი იქნება და ან ცოტა ქვიშა ნარევი თიხა; მაგრამ თუ მიწა მოხვნის შემდეგ თითონ იფშვნება, მაშინ ნიადაგი კირიანი იქნება, ან მჭადა-ქვიანი. თუ მოჭრილ კვალზედ, თვით ნოტიო ამინდშიაც, არა ელვარებს მიწა და არც ბელტები რჩება ნახნავზედ, მაშინ ნიადაგი ან მჩატე ქვიშაა და ან ქვიშა ნარევი მიწა.

2) აგრეთვე ნაცადია, რომ თიხიანი ნიადაგის მიწა ნოტიო ამინდში ეკვრება სახნავ საკვეთსა და საქონლისა და კაცის ფეხებს; მაგრამ ქვიშიანი ნიადაგისა, კირიანისა და შავი მიწისა კი არა.

3) აგრეთვე მიწის ფერიც აჩვენებს ნიადაგის თვისებას. თუ მიწა მოთეთროა, მაშინ ნიადაგში ბევრი კირი ურევია; თუ მიწა მოყვითლოა ან მოწითლო, მაშინ ნიადაგი რკინა ნარევი იქნება. როდესაც მიწა მუქ მიხაკის ფერია, ან მოშაო, მაშინ ნიადაგს შავი მიწა ერევა; მაგრამ თუ დაბლობ, ნაგუბარ ალაგებსა აქვს ამისთანა ფერი, (მუქი მიხაკისა), მაშინ ჭაობიანი, ან ტორფიანი ნიადაგი იქნება. (ტორფი—ბალახის ფესვებიანი მიწაა, რომელსაც ზოგ ალაგებში თხლათა სჭრიან ნიადაგიდგან (მიწიდგან), აგურების ოდნებად ახმობენ და შეშის მაგიერ საწვავადა ხმარობენ). ერთი მუჭა მიწა რომ მოადუღოთ წყალში და ნადუღმა წყალმა თუ მიხაკის ფერი დაიჭირა, მაშინ იმ მიწაში შავი მიწა ერევა; მაგრამ თუ წყალმა ფერი არ გამოიცვალა, იმ მიწაში ან ცოტა იქნება შავი მიწა და ან სულ არ იქნება. აგრეთვე სველი მიწა უნდა დაასორსალოთ და ცეცხლში გამოსწვათ, მერე ცეცხლიდგან გამოიღოთ და გასტეხოთ; თუ შუაშა გამომწვარს მოშაო ფერი აქვს, იმ მიწაში შავი მიწა ერევა და თუ მოშავო ფერი არ ექნება შუა გულს—არც შავი მიწა ერევა.

4) ვისაც უნდა შეიტყოს ნიადაგში კირი არის თუ არა, ნიადაგზე (მიწაზე) უნდა ცხარე ძმარი დაასხას: თუ მიწა აფუვდეს—კირი ერევა ნიადაგს, თუ არა და—არ ერევა კირი.

5) ნიავლვრებს შემდეგ თუ ნიადაგზე წყალი დაგუბდა და დიდხანს აღარ გაშრა, იმ ნიადაგს ბევრი თიხა ერევა; მაგრამ თუ ნიადაგზე წყალი არა გუბდება, არამედ შიგ გაუვა ხოლმე, მაშინ ნიადაგს ბევრი ქვიშა ან კირი ერევა. აგრეთვე წვიმას შემდეგ რომ წყალი დარჩება კვლებში, იმითიც შეიტყობა ნიადაგის თვისება: თუ კვლებში ჩამდგარმა წყალმა მიხაკის ფერი დაიჭირა,—ნიადაგში ბევრი შავი მიწა ერევა და ნაყოფიერიც იქნება; მაგრამ თუ წყალი შრატის მსგავსია, მაშინ ნიადაგში ბევრი ქვიშა ერევა და უნაყოფოც იქნება.

6) აგრეთვე ნიადაგის თვისების შეტყობა შეიძლება იმ ბალახებითა და ხეებით, რომელნიც იმაზედ იზრდებიან. თუ ნიადაგზე კარგა მოდის კართოფილი, და თავისთავად იზრდება ფესვ-გაბარჯღული პრასა ბალახი, მრავალ-ძარღვა, მიხაკი, ტირიფი, არყის ხე (დათვის-თხილა) და ფიჭვი, ის ნიადაგი მჩატე ქვიშა ნარევი იქნება. თუ კარგა მოდის ხორბალი, აჭარა, და თავის თავად იზრდება: ვარდკაჭაჭა, კაპუეტა ბალახი და ჩანთიანა, მაშინ ნიადაგი თიხიანი ყამირი იქნება. თუ მიწაზედ თავისთავად (ველურად, გარეულად) მოდის ვირის-ტერფა, იონჯა, სალბი, ალავერდა, მელისკუდა, ღვია და იფნი, მაშინ ნიადაგში კირი ერევა. შავმიწაზედ თავის თავად (დაუთესავად) მოდის: ძურწა, ნაცარ-ქათამა, ქარქვეტა და აბზინდა. მჟავე ბალახები: ქორაფი, ლელწამი, ჩალა-მგელა, ჭილი, შვითა (ჯორის-ძუა), ჩალა, და მურყანი (თხმელა) თუ იზრდება მიწაზედ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ნიადაგი ჭაობიანია.

7) თუ მინდორზედ მოსავალი სქლად არის და მუქი მწვანე ფერი აქვს, ეს აჩვენებს, რომ ნიადაგი ნოყიერია, მსუქანია, და თუ თხლად არის მოსული და მქრალი ფერისაა—ნიადაგიც უნაყოფოა (მჭლეა).

8) რამდენიც მინდორზე ბევრი გორაკებია (ბექობები), იმდენი მიწაში ბევრი მწერი (ჭიალუა) იქნება და იმდენათ ნიადაგი ნაყოფიერი (მსუქანი) უნდა იყოს.

აგრეთვე ტოროლები ყოველთვის ნაყოფიერ მიწებზედა ბუდობენ ხოლმე.

ნიადაგის თვისების შეტყობა სუნითაც შეიძლება:

9) მიწას თუ თიხის სუნი აქვს, მაშინ ნიადაგი თიხა ნარევი იქნება; და თუ თიხის სუნი არ აქვს, მაშინ მიწა ქვიშიანი იქნება, ან კირიანი. თუ გვალვის დროს თბილი წვიმა მოვიდა და შემდეგ მიწას დამპალი ხის სუნი, აედინა, მაშინ ნიადაგი ძალიან ნოყიერი, შავი მიწიანი იქნება.

ნიადაგის შეტყობა აგრეთვე ხმითაც შეიძლება:

10) ცოტა მიწა უნდა აიღონ და თითით თეფშზე ან კბილებზე გალესონ; თუ იმ ლესვაში მიწა ღრაჭუნებს,—სჩანს რომ ნიადაგში ქვიშა ურევია. დასორსლებული სველი მიწა უნდა ცეცხლში ჩააგდონ და გამოწვან; თუ გამოწვის შემდეგ წკრიალი გააქვს თიხის ჭურჭელივით, მაშინ ნიადაგი თიხიანი იქნება.

აგრეთვე ნიადაგის შეტყობა მიწის დასრესითაც შეიძლება:

11) სველი მიწა უნდა ხელში დასრისონ და თუ ქონიანსა (მსუქანსა) ჰგავს, ან თუ ენას ეკვრის,—ის მიწა თიხიანი იქნება. თუ დასრესაში რბილად ჰხვდებოდეს ხელებს, მაშინ მიწაში მსხვილი ქვიშა არ იქნება; და თუ ხელში ხმელად ჰხვდება მიწა, იმისთანა მიწაში ბევრი მსხვილი ქვიშა ერევა. სველ ამინდში რამდენიც უფრო ძნელი მოსახნავი დასაფარცხია მიწა, იმდენი ნიადაგში ბევრი თიხა იქნება, და რამდენიც ადვილი სახნავია, იმდენი უფრო ბევრი ქვიშა ერევა ნიადაგს.

ამ ცოდნით ჩვენ შეგვიძლიან მიახლოვებით შევიტყოთ რა თვისებისაა ჩვენი მიწა ან ნიადაგი; მაგრამ იმის შესატყობად, თუ ჩვენ მიწაში დაწვრილებით რამდენი წყალია, რამდენი ქვიშა, კირი, თიხა და შავი მიწაა,—ამის შესატყობად ჩვენ უნდა ავიღოთ მიწა, კარგად გავარჩიოთ ერთმანერთში არეული ნაწილები და ყველა ცალ-ცალკე ავწონოთ და მაშინ გავიგებთ, თუ ჩვენ ნიადაგში რამდენი ქვიშაა, რამდენი კირი, და რამდენი სხვა ნაწილები.

ამისათვის იმ მიწიდგან, რომლის ნიადაგის თვისებაც გვინდა შევიტყოთ, რამდენიმე ალაგას თითო მუჭა მიწა უნდა ავიღოთ, ამასთან იმ სიღრმეზედ, რა სიღრმეზედაც გუთანი სჭრის მიწას; ეს მიწები უნდა გაიფინოს, რომ გამოშრეს, მერე გაიცრას რომ ქვები და ფესვები გაეცალოს წმინდა მიწას, მერე უნდა აურიონ ერთმანერთში, რომ გაერთნაირდეს და მერე გამოსცადონ თუ რამდენი რა ნაწილია

იმ მიწაში. გამოცდა ამ გვარად უნდა. ეს გაცრილი და არეული მიწა ორად უნდა გაჰყონ, ორივე ნაწილს ერთნაირი წონა უნდა ჰქონდეს: თითო ნაწილი ასი მისხალი უნდა იყოს. ჯერ ერთი ნაწილი უნდა აიღონ და შეიტყონ, თუ რამდენი სინოტივეა იმ მიწაში. ამისთვის ის ასი მისხალი მიწა უნდა ცხარე მზეზე ან ქარზე დადგან, რომ გაშრეს. როცა გაშრება, მაშინ უნდა აიღონ და კიდევ აწონონ; რომ ასწონენ, ნახვენ, რომ მიწა ასი მისხალი აღარ იქნება, არამედ ნაკლები, რადგან რაც წყალი იყო იმ ას მისხალში—გაშრა, გაჰშორდა მიწას და ამიტომ მიწაც დამსუბუქდა; ვსთქვათ, რომ გამშრალი მიწა ასი მისხლის მაგიერად ოთხმოცდა ხუთმეტი მისხალიღაა; კიდევ უნდა დადგან მიწა გასაშრობად და შემდეგ მეორედ აწონონ; ვსთქვათ ახლა მიწამ აიწონა ოთხმოცდა რვა მისხალი, კიდევ უნდა დაჰდგან მზეზე ან თბილ კერაზე მიწა და რამდენსამე საათს უკან კიდევ უნდა აწონონ; თუ მაშინ წონამ აღარ დაიკლო და ისევ ოთხმოცდა რვა მისხალს იწონის, სჩანს, რომ წყალი რაცა ყოფილა მიწაში—სულ გამშრალა, გასცლია. მაშ თუ გაშრობამდის ასი მისხალი იყო მიწა და გაშრობას შემდეგ ოთხმოცდა რვა მისხალიღა დარჩა, გამოდის, რომ ჩვენ მიწაში თორმეტი მისხალი წყალი ყოფილა და ოთხმოცდა რვა მისხალი სხვა და სხვა მიწები.

ახლა ეს ოთხმოცდა რვა მისხალი ხმელი მიწა უნდა ქვაბში ჩაყარონ, ცეცხლზე შესდგან და მერე კარგა ურიონ, რომ ერთნაირად გახურდეს. გახურებისაგან რაც შავი მიწა იქნება იმ მიწაში, სულ გამოიწვის და ჰაერში წავა. ახლა რომ შეიტყონ თუ რამდენი, ყოფილა შავი მიწა უნდა კიდევ ასწონონ და რამდენი მისხალიც დააკლდება წონას, იმდენი მისხალი შავი მიწა ყოფილა; ვსთქვათ წონას დააკლდა რვა მისხალი, ესე იგი მიწა ოთხმოცდა რვა მისხლის მაგიერად ოთხმოც მისხალს ღა იწონის, სჩანს რომ დანაკლისი, რვა მისხალი, შავი მიწა ყოფილა. მაშ გამოდის, რომ ას მისხალ ჩვენგან აღებულ მიწაში თორმეტი მისხალი წყალია, რვა მისხალი შავი მიწა და ოთხმოცი მისხალი სხვა მიწები.

ახლა რომ გაიგონ თუ ამ მიწაში სხვა მიწებისა რამდენიღაა, ამისთვის უნდა თავი დაანებონ იმ გამომწვარ მიწას და აიღონ გამოუშრობი, მეორე ნაწილი, ასი მისხალი მიწა. პირველ ნაწილში გაიგეს რამდენი მისხალი წყალია და რამდენი მისხალი შავი მიწაა; ახლა მეორე ნაწილში შეიძლება გაიგონ, თუ სხვა მიწებისა ას წონაში რამდენიღა მისხალია. ამისათვის ის ასი მისხალი ხელუხლები, გაცრილი მიწა უნდა აიღონ, ჩაყარონ ქვაბში ან ქოთანში, დაასხან ზედ წყალი და კარგა მოურიონ; ამ მორევისაგან წყალი აიმღვრევა. ცოტახანს უნდა დააცადონ და მერე ეს ამღვრეული წყალი უნდა გადაასხან მეორე ქვაბში; მერე კიდევ სხვა წყალი დაასხან მიწას, ცოტა კიდევ დააცადონ და ისევ გადაასხან სხვა ქვაბში და ეს იქამდის გაიმეორონ, მანამ ახალად დასხმული წყალი წმინდად არ დარჩება და აღარ აიმღვრევა. ამ გარეცხით მიწას გაეცლება თიხა და შავი მიწა და დარჩება ცარიელი ქვიშა; ხოლო მეორე ქვაბში, სადაც მღვრივე წყალი გადაასხეს, იქნება თიხა და შავი მიწა. ახლა რომ გაიგონ თუ რამდენი ქვიშა არის ას მისხალ მიწაში, უნდა ის ქვიშა კარგა გაახმონ და მერე აწონონ. ვსთქვარ რომ ამ ქვიშამ აიწონა ოცდა ათი მისხალი; მაშ სჩანს, რომ ას მისხალ მიწაში ოცდა ათი მისხალი ქვიშა ყოფილა-და სამოცდა ათის მისხალიც წყალი, შავი მიწა-და თიხა. რადგან პირველი ნაწილიდგან გავიგეთ, რომ ას მისხალ მიწაში თორმეტი მისხალი წყალია, რვა მისხალი შავი მიწა, და ერთად ოცი მისხალი; ეს ოცი მისხალი, რომ სამოცდა ათი მისხლიდგან გამოვიდეთ-დარჩება ორმოცდა ათი მისხალი; მაშ გამოდის, რომ ორმოცდა ათი მისხალი თიხა არის ას მისხალ აღებულ მიწაში. მაშ სულ ას მისხალ მიწაში იქნება თორმეტი მისხალი წყალი, რვა მისხალი შავი მიწა, ოცდა ათი მისხალი ქვიშა და ორმოცდა ათი მისხალიც თიხა.

| | |
|---|---|
| წყალი | —12 მისხალი ან ნაწილი. |
| შავი მიწა | —8 — — — |
| თიხა | — —50 — — — |
| ქვიშა | — —30 — — — |
| სულ | 100 მისხალი ან ნაწილი. |

ახლა კიდევ შეიძლება სცადონ: ოცდა ათ ნაწილ ქვიშაში ხომ კირიც არ ურევია. ამისთვის ქვიშას უნდა ცხარე ძმარი დაასხან ან სიმჟავე რამე; რაც კირი იქნება—ძმარში გაიხსნება და გაუხსნელი დარჩება ქვიშა. ახლა რომ შეიტყონ რამდენი ნაწილი ყოფილა კირი, ამისათვის ძმარ დასხმულ ქვიშას უნდა რამდენჯერმე დაასხათ წყალი და გადაასხან ფრთხილად, რომ ქვიშაც არ გაჰყვეს თან. რაც კირი იქნება წყალს გაჰყვება და დარჩება წმინდა ქვიშა. მერე ეს ქვიშა უნდა კარგა გააშრონ და გამშრალი აწონონ. ვსთქვათ, რომ ქვიშა ახლა იწონის ოცდა ხუთ მისხალს; მაშ დაჰკლებია ხუთი მისხალი; გამოდის რომ ქვიშაში კირი ყოფილა ხუთი მისხალი. მაშ ას ნაწილ მიწაში ყოფილა წყალიც, ქვიშაც, შავი მიწაც, კირიც ამ ზომით:

| | |
|---|---|
| წყალი | . . . . 12 ნაწილი. |
| შავი მიწა | — —8 — — — |
| თიხა | — — —50 — — — |
| ქვიშა | — —25 — — — |
| კირი | — — —5 — — — |
| სულ | —100 ნაწილი. |

რა ნიადაგიც უნდა იყოს, ჩვენ შეგვიძლიან ამ ნაირად გავიგოთ, თუ რამდენი რა მიწაა იმ ნიადაგში; აგრეთვე ამ გამოცდით ჩვენ იმასაც გავიგებთ, რომ სხვა და სხვა ნიადაგში სხვა და სხვა ზომით არის ეს მიწები.

ამასთან ესეც უნდა დავიხსოვნოთ, რომ მოსახნავათა და საფარცხავათ თიხიანი მიწა უფრო ძნელია, ვიდრე ქვიშიანი; წონით კი ქვიშიანი მძიმეა თიხიანზედ, შავი მიწა კი ყველაზე მსუბუქია. ასე რომ შუშის ქილაში რომ წყლალი ჩაასხათ და შიგ მიწა ჩაჰყაროთ, კარგად აურიოთ და მერე დასდგათ,—მაშინ ჯერ ქვიშას დაილექავს, რადგან ქვიშა ყველაზე მძიმეა; ქვიშაზედ თიხა დაედება და თიხაზედ კიდევ შავი მიწა, რადგან შავი მიწა ორივეზედ მსუბუქია.

აგრეთვე ნაცადია, რომ თუ ნიადაგში ას ნაწილზედ თორმეტი ნაწილი წყალია, ან ცოტა მეტი, მაშინ ნიადაგი ნაყოფიერია, და თუ წყალი ათ ნაწილზე ნაკლებია, მაშინ ნიადაგს ნაყოფიერება ნაკლებად ექნება.

## სახალხო ექიმობა.

**ზ ვ ი ნ ი (მ ა ჯ ლ ა ჯ უ ნ ი ს დ ა წ ო ლ ა)**

ზოგჯერ მოხდება ხოლმე, რომ კაცი ძილში რაღაცა სიმძიმესა ჰგრძნობს, თითქოს სიზმარში იმას მძიმე რამე აწვება: ნადირი, კაცი, სავსე ტომარა, ხე, მიწის ფლატო, ქვა და სხვა ამ გვარი; მძინარე ცდილობს გამოუსხლტეს დაწოლილ სიმძიმეს, ადგომა ჰსურს, განძრევა უნდა, მაგრამ ვერ შეუძლიან; ბოლოს შეჰყვირებს ძილში და, რომ გამოეღვიძება, ძალიან უხარიან, რომ გაჭყლეტას თავი დააღწია.

ამ ავადმყოფობას ჰქვიან ზეინი. ჩვენში მდაბიურად ეძახიან: მაჯლაჯუნის დაწოლას.

## ნიშნები და ხასიათი.

ზეინი კაცს დაძინებას შემდეგ მალე დაემართება ხოლმე, ზოგს თითქმის ყოველღამე მოსდის და ზოგს კი იშვიათად; რომელსაც ხშირად მოსდის, იმას უფრო სწყენს და კარგამყოფობას უშლის, და რომელსაც იშვიათად, იმისთვის კი არაფერი ვნება არ მოაქვს.

## მიზეზები.

ამ ავადმყოფობის მიზეზები არიან: 1) ვახშმად ბევრის ჭამა და შემდეგ დაძინება; 2) მოჭარბებული სისხლი, ან სისხლის ალაგობრივი მოგროვება კუჭშია და გულში; 3) გულაღმა და თავ-დაბლა ძილი, რადგან ამ სახით წოლის დროს საჭმელი, სისხლი და მუცლის ქარები კოვზს ქვეშ აწვებიან კუჭს. ზეინი იმაში შესდგება, რომ მუცლისა და გულის ნერვები ვიწროვდებიან.

## წამლობა.

ზეინის წამლობა ორგვარია: დიეტიკური და ნამდვილი.

დიეტიკური წამლობა იმაში შესდგება, რომ ავადმყოფს ავადმყოფობის მიზეზებს მოარიდებენ. ზეინს დიეტიკური წამლობა ამ გვარი უნდა: 1) ვისაც ზეინი დაემართება ხოლმე, იმან ან სულ არ უნდა ივახშმოს, ან თუ ივახშმებს—ცოტა უნდა ჭამოს და ამასთან მსუბუქი საჭმელი, რომ მუცელს არ ჰბერავდეს:—ხორცის წვენი, პატარა ნაჭერი ძროხის ხორცი, კვერცხები, რძე; ხილი არ უნდა ჭამოს ღამე; როდესაც წვებოდეს დასაძინებლად, ერთი სტაქანი ცივი წყალი უნდა დალიოს;. 2) გვერდზე მწოლარემ უნდა დაიძინოს, გულაღმა ძილი მავნებელია, თავი მაღლა უნდა დაიდოს; 3) უნდა ეცადოს, რომ ყოველდღე თავისუფლად გადიოდეს ტანში; თუ ბოყინება და მუცლის ქარები იცის, მაშინ უნდა ცოტა წმინდად დანაყილი მაღნეზია (აფთიაქში იყიდე) გახსნას კამის წყაში და დალიოს, (მაგნეზიის მაგიერად შეიძლება წმინდად დანაყილი დამწვარი პური იხმაროს).

ზეინს ნამდვილი წამლობა იშვიათად დასჭირდება ხოლმე. თუ ზეინის მიზეზი გულში დაგროვებული სისხლია და ავადმყოფს მძიმე ჯაზობაცა სჭირს, მხოლოდ მაშინ უნდა ნამდვილი წამლობა. ამ შემთხვევაში რჩევისათვის და წამლებისთვის ნასწავლ ექიმს უნდა მიმართოს ავადმყოფმა.

---

## ხმის გაწყვეტა.

კაცი რომ ხმასა ჰკარგავს სრულებით ან თუ ხიხინა და ხრინწიანი ხმა აქვს—ამ ავადმყოფობას ხმის გაწყვეტას ეძახიან.

ხმის გაწყვეტა ორ ნაირია: პირველ-დაწყებითი და ნაწარმოები. პირველ-დაწყებითს იმას ეძახიან, როდესაც თითონ გაჩნდება ხოლმე საყლაპავის გაციებისაგან და ჭიფხით ლაპარაკისაგან, ყვირილისაგან; ნაწარმოებსაც იმას ეძახიან, როდესაც ხმის გაწყვეტა სხვა ავადმყოფისაგან წარმოსდგება, სახელდობ: სატკბურისა, ცუდი სენისა, ხახისა ან ყელის სიჭლექისაგან, სიდამბლისა, გულის გადიდებისაგან, ფილტვების სიჭლექისა, მკერდის წყალ-მანკისაგან და სხვ.

## წამლობა.

თუ ხმის გაწყვეტა შეციებისაგან არის, მაშინ გარეგანი წამლობა უნდა: ყელზედ უნდა შემოადონ მოშუშული თივის ნაძირალა, ან ახალი კურდღლის ტყავი, ან სანთლის ქონში გალესილი ფქვილი; აგრეთვე კარგია გასაპნილი ქაღალდის შემოხვევა ყელზე; შიგნით უნდა იხმაროს ოფლის ჩაი: გამხმარი მჟოლისა, ცაცხვის, ან დიდგულის ყვავილისა და სხვ., აგრეთვე შაქრით გათქვეფილი კვერცხის გულიც კარგია. თუ ხრინწი დიდხანს არ მოეშვას, მაშინ უნდა ერთი მისხალი ახალი ხარდალი წვრილად დასჭრას, დაასხას ზედ რვა მისხალი ადუღებული წყალი და თბილ ალაგას დადგას; მერე გაწუროს, დანაყილი შაქარი ჩაურიოს და დრო გამოშვებით თითო ჩაის კოვზი ჩაყლაპოს ნელა. რომ ხრინწი აღარ დაუბრუნდეს, პირის დაბანის დროს საპონი უნდა წაისვას ყელზედ და საპნიანივე (გაუბანელი) უნდა შეიწმინდოს პირსახოცით. თუ ხმის გაწყვეტა სატკბურასაგან არის, მაშინ იმისთანა წამლობა, უნდა, როგორც სატკბურას; და თუ ხმის გაწყვეტის მიზეზი ცუდი სენია (სიყვარულისაგან მომხდარი), მაშინ წამლობისთვისა და რჩევისთვის უთუოდ ნასწავლს ექიმს უნდა მიჰმართოს.

---

## იხვის აკრუხება და იმის კვერცხებზე დასმა.

როდესაც იხვი კვერცხის დებას გაათავებს, (მოილევა), მაშინვე აკრუხდება და კვერცხებზედ დაჯდება; კვერცხი იხვს იმდენი უნდა შეუწყონ, რამდენიც იმის ფრთებს ქვეშ მოთავსდება, რამდენსაც დაფარავს და გაათბობს. საბუდარი მშრალს და თბილს ადგილას უნდა ედგას, წყალი არსაიდგან კვერცხებს არ უნდა მოხვდეს. იხვის კვერცხებზე ჯდომა ოცდა შვიდიდგან ოცდა ათ დღემდის გასტანებს და როდესაც გამოსჩეკს ჭუჭულებს ძრიელ ერთგულათ ეკიდება. იხვი ათიდან თხუთმეტამდინ კვერცხზედ მეტს ვერ გამოსჩეკს, სხვა კვერცხები შეიძლება ან ქათამს და ან ინდოურს შეუწყონ, მაგრამ ისინი ჭუჭულებს კარგათ ვერ მოუვლიან, ამისთვის უფრო რომ ჭუჭულებს წყალი უყვართ და ისინი კი წყალზედ ვერ წაასხმენ. ნამდვილი ქათამი შეეჩვევა ხოლმე ჭუჭულებს და ისეთი სიყვარულით ექცევა, როგორც მართალი დედა, მაგრამ ის ძრიელ შეწუხდება და ღონდება როცა ჭუჭულები წყლისაკენ გაიქცევიან ხოლმე, ამაოთ ეძახის იმათ, უკრუხკრუხებს, ისინი წყლიდგან არ გამოდიან,. ამისათვის რომ ბუნებით წყლის შვილნი არიან. იხვი როცა კვერცხებზე ზის, ნაკმაზი რიგიანათ უნდა უყარონ, თორემ თუ კუჭი ვერ გაიძღო, საბუდარს თავს დაანებებს, კვერცხები გაცივდებიან, წახდებიან.

### ჭუჭულების გამოჩეკა

ზოგი ჭუჭულები სხვებზე ორი დღით ადრე გამოიჩეკებიან ხოლმე, მაშინ ის ჭუჭულები უნდა გამოაცალონ კრუხს, თორემ ის სხვა კვერცხებს თავს გაანებებს, ეგონება სულ გამოვჩეკეო. ჭუჭულები თბილათ უნდა ჰყავანდეთ და როცა ყველას გამოსჩეკს; კრუხს ისევ შეუსხან. რადგან იხვები ძრიელ ნაზები არიან, იხვი კვერცხებზე, ან გაზაფხულის მიწურულებში უნდა დასვას და ან დამდეგს ზაფხულს. სითბოში უფრო სალათ გამოიჩეკებიან, მაგრამ ადრეული იხვების ყოლაც კარგია და ფასიც უფრო აქვთ. იხვის მეორეთ აკრუხება იშვიათია და აღარც ისე სალათ გამოსჩეკს.

### იხვის ჭუჭულების ჭმევა და დაზრდა.

როდესაც ყველა ჭუჭულები გამოიჩეკებიან, ისინი და იმათი დედა ბუდიდგან უნდა ამოასხან და სხვაგან სადმე თბილს და მყუდრო ადგილას გადარეკონ, რომ იქ თავისუფლათ და უვნებლათ ირბინონ. როცა საღამო მოვა ისევ ბუდეში უნდა დედას ჩაუბუდონ, ასე

რომ დედამ ყველა ჭუჭულები ფრთების ქვეშ შეისხას და თბილათ იყვნენ. სულ წინაწინ ჭუჭულებს ფეტვი უნდა აჭამონ ან რძეში დამბალი პური. ეგრეთვე შეიძლება აჭამონ მაგრათ მოხარშული და დაფშვნილი კვერცხი, რომელშიაც ქორფა ჭინჭარს აურევენ ან არა და ქერის, პურის და მუხუდოს ფქვილს. ერთ კვირას უკან მოთუთქულს კარტოფილსაც კარგათა სჭამენ. დღეში სამჯერ ეყოფათ ჭმევა. ერთ თვეს უკან შეიძლება ჭუჭულებს აჭამონ ქერის ან სიმინდის ფქვილი ქორფა ჭინჭარში არეული. შემდეგში იმათ საზრდოთ არა უშავსრა სხვა და სხვა მოთუთქულს ბალის მოსავალს, წყ ლში არეულ ქატოს და ეგრეთვე სხვა და სხვა მწვანე ბალახს. პატარა ჭუჭულებს პირველში თაბხით ან სხვა რითმე უნდა მიუდგან წყალი, რომ შიგ იბანონ. რაკი ჭუჭულები ამ გვარათ მოიზრდებიან, შემდეგში უდედოთაც კარგა გაევლენ საძოვარზედ და წყალზედ.

### იხვების საკვებარი.

ქორფა და ძველი იხვები ძალიან მჭამლები არიან, თითქმის არასდროს არ გაძღებიან. რასაც თვითონ იპოვნიან ან პატრონები მიუყრიან, ერთს წამს ყლაპავენ, სელეპავენ ბალახებს, ეძებენ ნაკმაზს, იჭერენ ჭია-ღუას და სჭამენ, ეგრეთვე სჭამენ თევზებსაც, თევზებისათვის რომ ჩაიყურყუმალავებენ ხოლმე წყალში მარტო ბოლოღა უჩანთ. იხვი ძრიელ ჩქარა ინელებს და ამისათვის იქამდინ აჭმევენ ხოლმე, მინამ ჩიჩახვი გაეტენება. იტყვიან იხვისა და ღორისთვის ყველა გამოსადეგიაო, მართლაც ხერხიანი ოჯახის პატრონი ადამიანი, ვინც გამუდმებით შინ არის, ადვილათ გაზრდის ბლომა იხვებს, ასე რომ, ხარჯი ცოტა მოუნდება. შემოდგომაზედ სულ თვითონ იპოვნიან საზრდოს, მაგრამ ვისაც უნდა იმათი ჩქარა დაზრდა და დასუქება, შინაც უნდა აჭამონ, უბრალო ნაკმაზიც გამოდგება იმათთვის.

### იხვის გასუქება

იხვი ჩქარა იზრდება, ორ თვეს უკან რომელიც ტანოვანია, ხუთი გირვანქის სიმძიმე მოვა ხოლმე. ექვს თვეზედ იხვი სრულდება და საჭმელათაც მაშინ არის კარგი. ვისაც უნდა იმის გასუქება ამ დროს მუცლის ბუმბული უნდა დააგლიჯოს, მობნელო ვიწრო და ჩუმს ალაგას შეაგდოს და ბევრი აჭამოს. გიორგობის თვეშია (ნოემბერში) იხვის გასუქების დრო, ამაზედ გვიან ტყუილ ათლა აჭმევს პატრონი მომატებულს, აღარ გასუქდება, ამისათვის რომ პეპლას დაიწყებს და კვერცხის დებას მოაყოლებს. კარტოფილის, სიმინდის, ფშვრიის, ან ქერის ფქვილი წყალში ან რძეში აზელილი იხვს ძრიელ გაასუქებს, მაგრამ იმდენი უნდა აჭამონ, რამდენსაც იხვი შეიძლებს. ზოგნი იხვს კალთაში ჩაისვამენ მარცხენა ხელით ნისკარტს გაუღებენ და მარჯვენაში ზემოხსენებული ცომის პატარ-პატარა გუნდებს უდებენ პირში, ამასთან ხან გამოშვებით წყალში აფშრუკულს ქატოს აჭმევენ, რძეს ასმევენ და მშრალს ფშვრიას უყრიან. ესე ვინც უზამს იხვი 15 დღეზედ ან სამს კვირაზედ ძრიელ გასუქდება. იხვის ყვერულათ ქცევა საჭირო არ არის. ჭმევის დროს იხვს ზოგჯერ სული შეუგუბდება ხოლმე, განსაკუთრებით ცომის გუნდების ყლაპის დროს, მაგრამ ეს არას უზავს, თუ მინამ გაცივდება სისხლი გამოუშვეს. იხვს გასუქება იმაზედ შეეტყობა რომ ბოლოს ფრთები გაუგანიერდება და მარაოსავით გაიშლება, ჭმევისაგან იხვს ზოგჯერ ნაღველი წაუხდება და გახდება, ის უნდა დაიკლას, თორემ სიგამხდრით აღარ გაიყიდება. უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარათ გასუქებული იხვის ხორცი ისე გემრიელი ვერ არის, როგორც თავისუფლათ გაზრდილი იხვის ხორცია. ზოგი ბევრს ჰყიდის იხვებს და კარგი მოგებაცა აქვთ ხოლმე, ამისათვის რომ იხვს გემრიელი ხორცი აქვს და ძრიელ ყიდულობენ.

---

## არითმეტიკა.

### ოთხი.

4

ძირს რამდენი კენჭი ძევს?—სამი. ერთი კენჭი რომ კიდევ მივუმატო, რამდენი გახდება?—ოთხი.—ერთს ქვას რომ სამი მიუმატო რამდენი იქმნება?—დიდს ფიცარზე ერთი ხაზია გასმული, ოთხს რამდენი აკლია? მაშ ორი ხაზი გავაველოთ, ოთხამდის რამდენი აკლია? ხარს რამდენი ფეხი აქვს?—ორს ბატს რამდენიღა აქვს? აბა, მოსთვალეთ რა და რა ცხოველებს აქვთ, ორ ორს ოთხ ოთხი თვალი. ვის უნახავს ოთხ ხელიანი ცხოველი?—მაიმუნი გახლავთ. მარცხენაში ოთხი ჯოხი მაქვს, მარჯვე აში ორი, რომელში უფრო მეტი მაქვს და რამდენით არის?—უმაწვილს ორი ქისა აქვს: ერთში ერთი კაპეიკია, მეორეში ოთხი, რომელში მეტია და ან რამდენით? ორ ჯიბეში ოთხი კაკალი მიწყვია, ერთში ორი მაქვს, მეორეში რამდენია?—ერთს ყმაწვილს ოთხი კაპეიკი აქვს სამ კაპეიკ ნაკლე, რამდენი ჰქონებია? ორ ძმას ფულები მივცეს ერთს ერთი აბაზი, მეორეს ორი აბაზით მეტი, ორთავეს რამდენი აქვს?

ერთი და სამი რამდენია?—ორი და ორი?—ორი ორ ნაკლე?—ორი და ერთი?—ერთი ორი და ერთი?—სამი და ერთი? სამი უოთხოთ, რამდენია?—ოთხი ორზე რამდენით მეტია?—ოთხი—სამზე—ორზე—ერთზე? ერთი სამზე რამდენით ნაკლეა?—ერთი—ორზე—ოთხზე?

---

დაითვალეთ რამდენჯერ დავკრავ ამ ჯოხსა?—ოთხჯერ.—ყოველ დაკვრაზე თითო წერტილი დავსვი; აბა, რამდენი წერტილია?—მაშ ოთხჯერ თითო წერტილი, რამდენსა იქმს..

ტიტიკომ ორშაბათს ერთი თაბახი აიღო სამშაბათს ერთი, ოთხშაბათსაც ერთი და ხუთშაბათსაც ერთი, თითო თაბახი რამდენჯერ მიულია? პარასკევს ოთხი თაბახი მიიღო, შაბათსაც ორი, რამდენჯერ მიულია ორ-ორი?—მაშ ორჯერ ორი, რამდენია? შენ რომ ოთხი კაპეიკი გქონდეს, რამდენჯერ შეგიძლიან გლახას თითო კაპეიკობით მისცე?—მაშ ორჯერ რამდენს კაპეიკს მისცემ? აბა თქვ ორჯერ ორი რამდენია?—ოთხს კაპეიკს რამდენჯერ მისცემ?—ერთჯერ.—მაშ ერთჯერ ოთხი კაპეიკი რამდენია?—ამ უჯრაში ოთხი კალამია, რამდენჯერ ამოიღებ თითო კალამსა? ორ-ორს?—ოთხს?—ერთი ოთხში რამდენჯერ იმყოფება?

აი ოთხი კაკალი, პეტრე, ოთხ ძმას გაუყავ, თითოს რამდენი ერგება?—ახლა ორს გაუყავ, თითოს რამდენი ჰხვდება?—აბა, სამ ძმას გაუყავ ოთხი კაკალი, თითოს რა ჰხვდება?—თითო და კიდევ ერთი დარჩება.—ამ ერთს რაღა უყოთ?—აბა გამოიცან ესეც რომ სამს გაუყო, თითოს მერამდენე ნაწილი ჰხვდება? და სხვ...—

ერთჯერ ერთი რამდენია?—ოთხჯერ ერთი?—ერთჯერ სამი?—ორჯერ ორი?—ორი და ორი?—ერთი ოთხში რამდენჯერ იმყოფება!—ერთი ოთხს გამოაკლე:—ორი ოთხს გამოაკლე. სამი ოთხს გამოაკლე. ოთხი ორათ გაყოფილი, რამდენია?—სამჯერ ერთი?—ერთჯერ ორი?—ორი და ერთი.—ერთი ორს რომ გამოაკლო რა დარჩება. აბა, შეიტყვე რამდენ თანასწორ ნაწილებისგან შესდგება ოთხი, და რამდენ მეტნაკლები რიცხვისგან.

(შემდეგი იქნება).

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го мая 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაკტორი და გამომცემელი ზ. წერეთელი